SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

- სტუდენტს ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება;
- სტუდენტმა შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფუძვლიანი განათლება საერთაშორისო ურთიერთობებში;
- სტუდენტმა შეიძინოს სპეციალიზებული ცოდნა მის მიერ არჩეული რეგიონის მიმართულებით: ახლო აღმოსავლეთი, შორეული აღმოსავლეთი ან დასავლეთი (ევროპა, აშშ) და განავითაროს საკუთარი ინტერესები;
- სტუდენტი ფლობდეს სოციალური მეცნიერებების ცალკეული მიმართულებების შესახებ ცოდნას: პოლიტიკის მეცნიერებები, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სამართალი;

- სტუდენტმა შეძლოს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, დიპლომატიური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესების ანალიტიკურად გააზრება;
- სტუდენტმა სრულყოფილად შეძლოს წერილობითი და ვერბალური კომუნიკაცია მის მიერ შერჩეულ ენაზე;
- სურვილის შემთხვევაში, კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლა განაგრძოს შემდგომი დონის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დასაქმების სფეროები

საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სფეროში:

- დიპლომატიური მისიები საზღვარგარეთ და უცხო ქვეყნების მისიები საქართველოში
- საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ.
- არასამთავრობო სექტორი
- ტურიზმი
- კერძო ბიზნესი
- აკადემიური სფერო

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული:

1. იაზრებს თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.
2. ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებების საფუძვლიან თეორიულ ცოდნას.
3. ფლობს სოციალური მეცნიერებების ცალკეული მიმართულებების შესახებ საბაზისო ცოდნას: პოლიტიკის მეცნიერებები, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სამართალი.
4. აანალიზებს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, დიპლომატიურ, კონფლიქტების ისტორიასა თუ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ პროცესებს და არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.
5. ფლობს ცოდნას საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების შესახებ.
6. ფლობს დიპლომატიის ხელოვნებას, მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკებსა და დიპლომატიურ ეტიკეტს.
7. ახორციელებს კვლევას, აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს და წარადგენს საკუთარ არგუმენტებს და პოზიციას ვერბალურად და წერილობით.
8. ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურას კითხულობს, აანალიზებს და აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.
9. სრულყოფილად ახორციელებს ვერბალურ და წერილობით კომუნიკაციას მის მიერ არჩეულ ენაზე (არაბული ენა, სპარსული ენა, თურქული ენა, ჩინური ენა, კორეული ენა, იაპონური ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა, ან გერმანული ენა).
10. პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს, აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას და ეთიკის ნორმებს.

ახლო აღმოსავლეთის მიმართულება:

- იცნობს ახლო აღმოსავლეთის ისტორიას, ლიტერატურას, რელიგიებს, კულტურას და პოლიტიკას.

შორეული აღმოსავლეთის მიმართულება:

- იცნობს შორეული აღმოსავლეთის ისტორიას, ლიტერატურას, რელიგიებს, კულტურას და პოლიტიკას.

ევრო-ატლანტიკის მიმართულება:

- იცნობს აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემას, ევროკავშირის პროცესებსა და ინსტიტუტებს, ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდი. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში

ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს აღნიშნული სილაბუსში.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება: საშინაო დავალებები, ქვიზები, ტესტები, ზეპირი და წერითი გამოცდები, პრეზენტაციები, პროექტები და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

პროგრამის სტრუქტურა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- მიმართულების საბაზო განათლება
- მიმართულების ძირითადი განათლება
- სამი კონცენტრაცია: შორეული აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი ან ევრო-ატლანტიკა
- სპეციალობის ენობრივი ბლოკი
- პრაქტიკული განათლება
- არჩევითი საგნები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამა შემდეგნაირადაა აგებული:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები - უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი სპეციალობის საგნების გარდა, ზოგად საუნივერსიტეტო საგნებსაც გადის, როგორიცაა: ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნება, ეკონომიკის საფუძვლები, ანთროპოლოგია, პოლიტიკური იდეოლოგიები, მსოფლიო ისტორია და საქართველო, ქართული ენა და ქართველები, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ბუნებისმეტყველება, საყოველთაო მათემატიკა, ინგლისური ენა და საველე პრაქტიკა.

ეს მიდგომა ხელს უწყობს ზოგადი განათლების დონის ამაღლებას და ინტერესთა სფეროს გაფართოებას.

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნებს ძირითადად პირველი და მეორე სემესტრი ეთმობა და მხოლოდ რამდენიმე მათგანი, შინაარსის გათვალისწინებით, ისწავლება მე-3-5 სემესტრებში.

საველე პრაქტიკის დროს ყველა პირველკურსელი საქართველოს რომელიმე კუთხეში (ძირითადად დაცულ ტერიტორიებზე) ბანაკდებიან და 10 დღეს საველე პირობებში ატარებენ. ამ დროს სტუდენტები გამოიმუშავებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა გუნდური მუშაობა და რთულ პირობებში სხვადასხვა დავალებისთვის თავის გართმევა. სტუდენტები ასუფთავებენ მიმდებარე ტერიტორიას და ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში.

როგორც წესი, უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტი წერს ინგლისური ენის დონის განსაზღვრის ტესტს (Placement Test), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ფლობის დონე. იმ შემთხვევაში თუ ინგლისური ენის დონის განსაზღვრის ტესტის შედეგად ან სტუდენტის მიერ შესაბამისი ენის სერტიფიკატის წარდგენით დადგინდა, რომ სტუდენტი ინგლისურ ენას ფლობს მინიმუმ B2 დონეზე, ინგლისური ენისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ემატება სტუდენტის არჩევითი საგნების ბლოკს. ის სტუდენტები, რომლებიც ინგლისურ ენას ვერ ფლობენ B2 დონეზე, გადიან შესაბამის კურსს/კურსებს და ინგლისური ენის სწავლება დასრულებულად ითვლება, როდესაც სტუდენტი ინგლისურს მინიმუმ B2 დონეზე ფლობს. ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობისათვის საჭირო კურსები იფარება სწავლის საფასურით და B2 დონის მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტი იღებს 7 კრედიტს.

მიმართულების საბაზო განათლების საგნები - ეს არის ისეთი საგნები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სპეციალური საგნებისათვის ქმნის ბაზას და მოიცავს შემდეგ კურსებს: სამართლის საფუძვლები, მაკროეკონომიკა, ძველი მსოფლიოს ისტორია, სოციოლოგია, თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.

ძირითადი განათლების საგნები - ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესასწავლად საჭირო ძირითადი თეორიული და პრაქტიკულ კურსები და მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, დიპლომატიის ისტორია და სამსახური, კონფლიქტები და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი, კავკასია და საქართველო, საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება, ჰიბრიდული ომი, უსაფრთხოების სტრატეგია და პოლიტიკა. ამასთან, მერვე სემესტრში სტუდენტები გადიან კურსს - საგარეო პოლიტიკის აკადემიური სიმულაცია, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მათ მიერ წინა წლებში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. ლექციების ფორმატი ინტერაქციულია და მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიურად ჩართვას ლექცია-სემინარების დროს.

კონცენტრაცია - პროგრამა მოიცავს სამ კონცენტრაციას, რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს:

- **შორეული აღმოსავლეთი**
- **ახლო აღმოსავლეთი**
- **ევრო-ატლანტიკა**

პრაქტიკული განათლების საგნები - ეს კომპონენტი მოიცავს საგანს - მუშაობას ორგანიზაციაში. მუშაობა ორგანიზაციაში სტუდენტის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მას აძლევს საშუალებას განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებით, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მის ადაპტაციას, სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშებას და ახალი კომპეტენციების გამომუშავებას, ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

სპეციალობის ენობრივი ბლოკი: პროგრამა სთავაზობს სტუდენტს 9 განსხვავებულ უცხო ენას: არაბული ენა, სპარსული ენა, თურქული ენა, ჩინური ენა, კორეული ენა, იაპონური ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა, ან გერმანული ენა.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ირჩევს შორეული აღმოსავლეთის კონცენტრაციას, მას შესაძლებლობა აქვს აირჩიოს შემდეგი ენობრივი ბლოკებიდან ერთ-ერთი:

- იაპონური ენა
- ჩინური ენა
- კორეული ენა

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ირჩევს ახლო აღმოსავლეთის კონცენტრაციას, მას შესაძლებლობა აქვს აირჩიოს შემდეგი ენობრივი ბლოკებიდან ერთ-ერთი:

- არაბული ენა
- თურქული ენა
- სპარსული ენა

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ირჩევს ევრო-ატლანტიკის კონცენტრაციას, მას შესაძლებლობა აქვს გაიაროს გაძლიერებული ინგლისური ენის ბლოკი და აირჩიოს შემდეგი ენობრივი ბლოკებიდან ერთ-ერთი:

- ფრანგული ენა
- გერმანული ენა
- ესპანური ენა

არჩევითი საგნები - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ კრედიტების საშუალოდ 10% არჩევით საგნებს წარმოადგენს, რაც ქმნის თავისუფალი არჩევანის საშუალებას, სტუდენტებმა საკუთარი ინტერესების მიხედვით შეარჩიონ საგნები.

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.